პატივცემულო კოლეგებო! ძვირფასო სტუმრებო!

ქალბატონებო და ბატონებო!

ყოველი ახალი სასესიო პერიოდის გახსნა დაკავშირებულია ახალ გეგმებთან, ახალ მოლოდინებთან. სწორედ ამგვარი სულისკვეთებით რამდენიმე წუთის წინ ერთობლივად გავხსენით უმაღლესი საბჭოს 2025 წლის საგაზაფხულო სესია. ჩვენს მდგომარეობაში მყოფი სახელისუფლებო ორგანოს საქმიანობა, ამ საქმიანობის შედეგები ყოველთვის იყო, არის და იქნება დამოკიდებული ქვეყნის შიგნით, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე საერთაშორისო არენაზე არსებულ მდგომარეობაზე, მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზე, გეოპოლიტიკურ ცვლილებებზე.

საშემოდგომო სასესიო პერიოდი დატვირთული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით. ქვეყანაში ჩატარდა მორიგი საპარლამენტო არჩევნები; აფხაზეთისთვის, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცება; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებმა პირველად ქვეყნის ისტორიაში აღვასრულეთ საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მესამე პუნქტით ჩვენზე დაკისრებული მოვალეობა-უფლებამოსილება და, როგორც საარჩევნო კოლეგიის წევრებმა, მონაწილეობა მივიღეთ საპრეზიდენტო არჩევნებში. ფრიად სამწუხაროა, რომ ლამის ტრადიციად გვექცა თითქმის ყოველი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციის მიერ მისი შედეგების არაღიარება და ხელისუფლებისათვის ბრძოლის ქუჩაში გადატანა. ვინაიდან ჩვენზე დაკისრებული ისტორიული მისია არის ზეპარტიული, საერთოეროვნული, უმაღლესი საბჭო დაინტერესებულია ქვეყნის სტაბილურობაში, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობაში, მყარ მშვიდობაში, სწრაფ ეკონომიკურ წინსვლაში. ყოველივე ამაში იმიტომ ვართ დაინტერესებული, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქმნება აუცილებელი წინაპირობები ქვეყნის გამთლიანებისთვის.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებული პოლარიზაციის მიუხედავად - მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა კორპუსში წარმოდგენილი ვართ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის სათავეში მყოფი ყველა პოლიტიკური ძალის მიმდევრები „მრგვალი მაგიდით“ დაწყებული და „ქართული ოცნებით“ დამთავრებული, უმაღლესი საბჭო, მისი აბსოლუტური უმრავლესობა რჩება უზენაესი საერთო მიზნის მქონე შეკრულ გუნდად. ეს უზენაესი საერთო მიზანი კი საქართველოს გამთლიანებაა, რაც გამორიცხავს შეურიგებელ დაპირისპირებას, ე. წ. პოლარიზაციას. ამ თვალსაზრისით უმაღლესი საბჭო ჭეშმარიტად უნიკალური და მისაბაძი წარმომადგენლობითი ორგანოა. იმედს გამოვთქვამთ, რომ ჯერ კიდევ არსებული გამოწვევების მიუხედავად, ქართული საზოგადოება დაძლევს პოლიტიკურ დაპირისპირებას და ქვეყანა გააგრძელებს სტაბილურ, მშვიდობიან განვითარებას. ამის გარანტი გახლავთ საქართველოს მთავრობა, ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი მისი ფრთხილი, წინდახედული, დაბალანსებული პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოების დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს.

უკიდურესად რთული რჩება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც. ქვეყნის წინაშე კვლავაც მთელი სიგრძე-სიგანით დგას უსაფრთხოების პრობლემა. საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაშიც საქართველო ხომ საერთაშორისო კონფლიქტებისა და ომების

რკალში იყო და არის მოქცეული. სამწუხაროდ, ჩვენს უშუალო სამეზობლოშიც - სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი ჯერ დასრულებული არ არის. ცეცხლის შეწყვეტის მიუხედავად, ფეთქებადსაშიში ვითარებაა ახლო აღმოსავლეთშიც. უდიდესი საფრთხის შემცველი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის სამი წლის წინ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება. ეს საფრთხე ატარებს ეგზისტენციალურ ხასიათს საქართველოსთვის - ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული; ქვეყნისთვის, რომლის დედაქალაქიდან სულ რაღაც სამ ათეულ კილომეტრზე დგას ოკუპანტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; ქვეყნისთვის, რომელსაც არ იცავდა და არც ახლა იცავს რომელიმე სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური გაერთიანება. უმაღლესმა საბჭომ არაერთხელ დააფიქსირა თავისი ცალსახა პოზიცია რუსული აგრესიის წინააღმდეგ, გამოხატა რა მტკიცე მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის მიმართ. სრული ჭეშმარიტება გახლავთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ უკრაინისა და მასთან ერთად პოსტსაბჭოთა სივრცის ბედი, არამედ მთელი დასავლური ცივილიზაციის იმიჯი და დიდწილად მომავალიც კი. დამაიმედებელი ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, კოლექტიური დასავლეთის მხრიდან, სამწუხაროდ, ვერ დავინახეთ ამ ჭეშმარიტების შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯები, რამაც უკრაინა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.

არ ვაპირებთ ჩვენი პარტნიორების - ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნების პოლიტიკის შეფასებას უკრაინასთან მიმართებაში. დარწმუნებული ვართ, არც თუ ისე შორეულ მომავალში თავად ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნების წარმომადგენლებისგან, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თვით უკრაინელებისგან მოვისმენთ, შიგა და შიგ უკვე ვისმენთ, როგორც ცალკეული ექსპერტები და ჟურნალისტები ამბობენ, „ჩაის კოვზით დახმარების მიწოდების“ დასავლური პოლიტიკის შეფასებას. ამ საკითხებზე როცა ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, საქართველო, მის უსაფრთხოებასთან და გამთლიანებასთან დაკავშირებული საკითხები გვაღელვებს. უკრაინაში და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში ოდნავ ჩახედული ნებისმიერი საღად მოაზროვნე, საკუთარი ქვეყნის ბედზე მოფიქრალი ადამიანი მარტივად დაასკვნის და მიხვდება, თუ რა ტრაგედიას, რა უბედურებას ვართ გადარჩენილები იმით, რომ საქართველოს მთავრობამ დაიკავა პრინციპული პოზიცია და ქვეყანა არ ჩართო ამ დამღუპველ ომში. იგივე ადამიანი ძალიან მარტივად მიხვდება ან უნდა მიხვდეს, რომ მსგავს უკიდურესად სახიფათო სიტუაციებში, როდესაც ღიად გაისმის ბირთვული მუქარები, ტერიტორიული პრეტენზიები; როდესაც რეალურად არსებობს მესამე მსოფლიო ომის საფრთხე და ამ დროს ზუსტად არც ვიცით რა მიზნებს ისახავენ, ხვალ და ზეგ რა პოზიციას დაიკავებენ დღეს ერთმანეთთან თითქოს დაპირისპირებული დიდი მოთამაშეები - ისეთი შედარებით პატარა და დაუცველი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, აუცილებელია დამოუკიდებელი, მხოლოდ საკუთარი ეროვნული, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გადარჩენაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება. ამას გვკარნახობს ქართული სახელმწიფოებრიობის სულ ცოტა სამიათასწლოვანი ისტორიული გამოცდილებაც.

მიუხედავად ყველაფრისა, ვინარჩუნებთ ოპტიმისტურ განწყობას. იმედი გვაქვს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, რომ ევროკავშირი და ნატო, რომელთა შემადგენლობაში, ადრე თუ გვიან, საქართველო უნდა

გაწევრიანდეს, ბოლომდე არ გაწირავენ უკრაინელებს და ეს გმირი, მრავალტანჯული ხალხი ეღირსება სამართლიან მშვიდობას. იმავდროულად კაცობრიობაც ეღირსება სამართლიან მსოფლიო წესრიგს, რომელიც დღეს ფეხქვეშაა გათელილი.

სამართლიანი მსოფლიო წესრიგის არარსებობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიც - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ჩვენი ენგურსგაღმელი თანამოქალაქეებიც ყურადღებით აკვირდებიან როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოში მიმდინარე იმ პოლიტიკურ პროცესებს, გეოპოლიტიკურ ძვრებს, რომლებმაც, შესაძლოა, დაასრულონ აფხაზეთის მსგავსი კვაზი-სახელმწიფოების არსებობა და მასთან ერთად ის დიდი, დროში მეტისმეტად გაჭიანურებული უსამართლობა, რომელსაც ასეულ ათასობით ადამიანის დევნილობა ჰქვია. ამასთან დაკავშირებით აფხაზური საზოგადოების დიდ ნაწილში წარმოქმნილ არც თუ ისე უსაფუძვლო შიშებს ოკუპანტი სახელმწიფო საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. რუსეთი, რომელიც ფლობს აფხაზეთზე ზეწოლის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ ბერკეტებს, ბოლო წლების განმავლობაში ღიად და უხეშად ახორციელებს მცოცავი ანექსიის პოლიტიკას.

უმაღლეს საბჭოში არაერთხელ გამართულა საქმიანი დისკუსია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისი პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებიც მიგვიღია. მიღებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად ედო არა მხოლოდ ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართალი, არამედ თვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების ნებაც და ინტერესებიც. ეს ინტერესები ძალიან ხშირად თანხვედრაში მოდის ქართული სახელმწიფოს, პირველ რიგში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინტერესებთან. ინტერესთა თანხვედრა აშკარად ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სტრატეგიული ობიექტების გასხვისების, დევნილი მოსახლეობის საკუთრების უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ხელში ჩაგდების, დემოგრაფიული მდგომარეობის იმავე უცხო ქვეყნის სასარგებლოდ შეცვლის, ოკუპირებული ტერიტორიის რუსეთის სამართლებრივ სივრცეში მოქცევის მცდელობებს. მოგეხსენებათ, ყოველი ასეთი მცდელობა იწვევს აფხაზური მოსახლეობის უკმაყოფილებას და სამართლიან პროტესტს. ერთ-ერთი ასეთი პროტესტი 2024 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, როგორც ვიცით, დე ფაქტო მმართველის გადადგომითაც დასრულდა.

ისმის კითხვა: აფხაზეთისთვის, აფხაზი ხალხისთვის სასარგებლო შედეგი გამოიღო თუ არა დე ფაქტო მმართველის გადადგომამ? რათქმა უნდა, არა! უფრო მეტიც, რუსეთის მიერ დაწესებულმა ენერგეტიკულმა და ფინანსურმა სანქციებმა სულ რაღაც ერთ თვეში ე. წ. დამოუკიდებელი აფხაზეთი ჩამოშალა და დააჩოქა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ოკუპირებული ტერიტორიის მმართველის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა, შექმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, თავის ქვეშევრდომებს მისცა საქართველოსთან დაკავშირების დავალება. ამით აფხაზურმა მხარემ, ჩვენი აზრით, მოახდინა მოსკოვის დაშანტაჟება - თუ არ დაგვეხმარებით, მივდივართ საქართველოსთანო! შანტაჟმა ამ ეტაპზე გაჭრა - აფხაზეთს ნაწილობრივ და თანაც დროებით აღუდგა რუსული დახმარება.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ბოლო პერიოდში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ანალიზიდან? მთავარი დასკვნა პირდაპირ ზედაპირზე დევს - ვისაც რეალობის დანახვა

სურს, კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა არის სუფთა წყლის ფიქცია; „დამოუკიდებლობის“ პროექტი ჩავარდა, „სუვერენულმა“ აფხაზეთმა ერთი თვეც ვერ გაძლო ოკუპანტის დახმარების გარეშე; ეს დახმარება კი უანგარო არ არის - მოსკოვი კატეგორიულად მოითხოვს სოხუმისგან იმ დამღუპველი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებსაც ასლან ბჟანიას სკამი შეეწირა. პირველ რიგში, საუბარია ე. წ. საინვესტიციო შეთანხმებაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზური საზოგადოება, ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა კვლავაც აღნიშნული შეთანხმების წინააღმდეგია. როგორც მოგეხსენებათ, სულ რაღაც ათ დღეში, ან ოდნავ მოგვიანებით აფხაზეთს ახალი დე-ფაქტო მმართველი - ე. წ. პრეზიდენტი ეყოლება. ძირითადი „საპრეზიდენტო“ კანდიდატებიც სიტყვიერად ამ შეთანხმებას მხარს არ უჭერენ. პირდაპირ სიმწრის ღიმილის მომგვრელია ის სასაცილო, უსაფუძვლო გეგმები და წინადადებები, რომლებიც გვესმის იმ ე. წ. საპრეზიდენტო კანდიდატებისგან, მათი მხარდამჭერებისგან, სხვადასხვა ექსპერტებისგან, როდესაც ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური კრისისიდან აფხაზეთის გამოყვანის გზებს იხილავენ. სამწუხაროდ, მათ ჯერ კიდევ ვერ გაიგეს ან არ უნდათ გაიგონ, რომ არსებული კრიზისი გამოწვეულია არა იმდენად სუბიექტური, არამედ ობიექტური ფაქტორებით; რომ ის არის ოკუპაციის უშუალო შედეგი. ე. წ. პრეზიდენტიც, რომელსაც აირჩევენ თუ დაუნიშნავენ, ოკუპაციის პირობებში გააგრძელებს საქმიანობას, შესაბამისად, აღმოჩნდება ზუსტად იგივე პრობლემების წინაშე, რა პრობლემების წინაშე იდგა აფხაზური საზოგადოების ზეწოლით გადაყენებული დე ფაქტო ხელისუფლება.

ამრიგად, შექმნილია გამოუვალი მდგომარეობა: ან მოსკოვის მოთხოვნებზე უსიტყვოდ დათანხმება, რაც აფხაზებისთვის დაღუპვის, ეროვნული კატასტროფის ტოლფასია, ან იგივე შედეგის მომტანი ეკონომიკური კოლაფსი. ასეთია მწარე რეალობა, რომლისგანაც თავის დაღწევა რაღაც კოსმეტიკური რეფორმებისა და გარდაქმნების შეთავაზებით, მაღალ მატერიებზე საუბრებით, მით უფრო „წინასაარჩევნოდ“ გაზრდილი ანტიქართული რიტორიკით შეუძლებელია. აი, რა ჩიხურ მდგომარეობამდე მიიყვანა აფხაზეთი რუსულმა ოკუპაციამ, რომელსაც ოკუპანტები და სეპარატისტები ცინიკურად „სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას“ უწოდებენ.

აფხაზური საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეუძლებელია ვერ ხედავდეს, რომ მისი უბედურების სათავეც სწორედ იმ ე. წ. დამოუკიდებლობაში ანუ ფაქტობრივ ოკუპაციაშია. შესაბამისად, შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი შეიძლება იყოს მხოლოდ დეოკუპაცია და საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება. სხვა ალტერნატივა აფხაზეთს არა აქვს - არა აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას სურს გადარჩენა, თუ მას უნდა ეროვნული აღორძინება და კეთილდღეობა. თითქმის დარწმუნებული ვართ: როდესაც აფხაზური მხარე არჩევანის წინაშე დადგება, ის აირჩევს გადარჩენას, ეროვნულ აღორძინებას და კეთილდრეობას. მოვლენების განვითარებაც გვაფიქრებინებს, რომ არც თუ ისე შორეულ მომავალში, უნდა ველოდოთ ორმხრივი ქართულ-აფხაზური დიალოგის დასაწყებად ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. ასეთი გარემოს ჩამოყალიბების პროცესი კი დიდი ხანია მიმდინარეობს, რასაც ყოველთვის ვითვალისწინებდით ჩვენს საქმიანობაში.

საშემოდგომო სასესიო პერიოდში უმაღლესი საბჭოს საქმიანობა საკმაოდ ინტენსიური გახლდათ. ჩატარდა 20 პლენარული სხდომა, მათ შორის 3 რიგგარეშე; განხილულია 43

საკითხი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი 29 სხდომაზე 67 საკითხი განიხილა. მოტანილი სტატისტიკა ნამდვილად მიუთითებს უმაღლესი საბჭოს აქტიურ მუშაობაზე.

კანონშემოქმედება იყო და რჩება მუშაობის მთავარ მიმართულებად. 17 იანვარს, მივიღეთ აფხაზეთის მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი ცვლილება აფხაზეთის კანონში „ნორმატიული აქტების შესახებ“. გარდა ამისა, განვლილ სასესიო პერიოდში უმაღლესმა საბჭომ იმუშავა კანონებზე როგორც 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით, ისე კანონზე 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ. რადგანაც ბიუჯეტი ვახსენეთ, არ შემიძლია არ აღვნიშნო რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება: წინა წელთან შედარებით, 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი მკვეთრად არის გაზრდილი, რაც აფხაზეთის მთავრობის დამსახურებაა; ახალი ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია; ბიუჯეტის ფორმირების, განხილვისა და მიღების ეტაპებზე უმაღლესი საბჭოს შესაბამისი კომიტეტებისა და აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შეთანხმებული მუშაობის შედეგად მივიღეთ უფრო სრულყოფილი ბიუჯეტი და მისი დამტკიცების ბევრად უფრო გამარტივებული პროცედურა. ცხადია, მსგავსი შეთანხმებული მუშაობა, თანამშრომლობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ამ ეტაპზე უმაღლესი საბჭოს წინაშე დგას პოლიტიკურად უაღრესად მნიშვნელოვანი და ამასთანავე მეტად ამბიციური ამოცანა - მომავალი აფხაზეთის მომავალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება. სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში, სამწუხაროდ, მოგვიწევს გარკვეული ცვლილების შეტანა, აგრძელებს მუშაობას. გასული წლის 17 ოქტომბერს, როგორც გვახსოვს, პლენარულ სხდომაზე მოვისმინეთ ჯგუფის ხელმძღვანელის, თსუ-ს პროფესორის ვასილ გონაშვილის მოხსენება „აფხაზეთის ა/რ სამართლებრივი სტატუსის პროექტზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ“. ახლო მომავალში დაგეგმილია აღნიშნულ საკითხზე მორიგი მოხსენების მოსმენა.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ უმაღლეს საბჭოში ბ-ნ ნუგზარ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილია ჰერალდიკის კომისია, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითია. აფხაზეთის მთავრობასთან და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა მომავალი აფხაზეთის სიმბოლიკის პროექტზე. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი მამუკა გონგაძე, რომელიც უმაღლესი დონის პროფესიონალია, გახლავთ ჩვენი კომისიის თანათავმჯდომარეც. დროშის პროექტზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. ახლო მომავალში ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე მოგვიწევს მისი, როგორც პროექტის, დამტკიცება. ამის შემდეგ გაგრძელდება მუშაობა გერბის პროექტზე. უმაღლესი საბჭოს წევრებს კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ აფხაზეთის სიმბოლიკის საბოლოო ვარიანტის დამტკიცება თავის დროზე აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით მოხდება.

მუშაობის პროცესში არც თუ ისე იშვიათად გვიხდება ცვლილების შეტანა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება 2024 წლის 6 ნოემბერს განხორციელდა. დღევანდელმა დღემ - 2025 წლის 4 თებერვალმა - დაგვანახა უმაღლესი საბჭოს სასესიო პერიოდების გახსნისა და დახურვის ვადების გადახედვის აუცილებლობა. ვთხოვთ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, წარმოადგინოს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 58-ე მუხლის მეორე პუნქტში შესაბამისი ცვლილების პროექტი.

საკანონმდებლო სფეროში ჩვენ ვაგრძელებთ საქმიან თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტთან. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში, 2024 წლის 28 ივნისს, საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტში წარვადგინეთ კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. დროის სიმცირის გამო, საქართველოს პარლამენტმა საგაზაფხულო სესიაზე ვერ მოასწრო მისი განხილვა. სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი, რომ კანონპროექტის განხილვა საშემოდგომო სესიაზე მოხდებოდა. ამ შემთხვევაშიც მიზეზი, ვფიქრობ, ყველასათვის გასაგებია. მეათე მოწვევის პარლამენტში უმაღლესი საბჭოს მიერ შეტანილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 149-ე მუხლის შესაბამისად, გადმოტანილია განსახილველად ახლად არჩეულ მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტში. ვთხოვ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს, მიიღოს ზომები, რათა დაჩქარდეს მისი განხილვა და მიღება.

გთხოვთ ასევე დაჩქარდეს მუშაობა პარლამენტში წარსადგენ კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან კანონპროექტზე - ცვლილებაზე საქართველოს კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. ცვლილებამ ხელი უნდა შეუწყოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების ადმინისტრაციულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურების გამარტივებას. სერიოზული ძალისხმევის მიუხედავად, უმაღლესმა საბჭომ და მთავრობამ წლების მანძილზე ვერ მივაღწიეთ მოქალაქეობის შესახებ კანონში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის, მათ შორის ეთნიკური აფხაზებისთვის, გაამარტივებდა საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე ჩვენი თანამოქალაქეები გადაადგილდებოდნენ ზედმეტი დაბრკოლებებისა და გაუმართლებელი ბარიერების გარეშე. ბატონო ვახტანგ, თქვენ კარგად იცით კონკრეტულად რაზე არის საუბარი და რამდენად აუცილებელია შესაბამისი ცვლილების განხორციელება საქართველოს კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“.

ნებისმიერი წარმომადგენლობითი ორგანოს, მათ შორის უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიურობაზე, მის ინიციატივებზე. მოგეხსენებათ, მთავრობა უკეთესად ხედავს ამათუ იმ კანონის ხარვეზსაც და დადებით მხარესაც; ხედავს, რა ეხმარება ან, პირიქით, უშლის ხელს მუშაობაში, საქმიანობის რომელ სფეროს, მიმართულებას სჭირდება დამატებითი საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ა. შ. დარწმუნებული ვართ, საკანონმდებლო სფეროში ტრადიციული, საკმაოდ ნაყოფიერი თანამშრომლობა აფხაზეთის მთავრობასთან გაგრძელდება. ამჟამად უმაღლეს საბჭოში მიმდინარეობს მთავრობიდან შემოსული ორი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცედურა. ველოდებით ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, ასევე წინადადებებს საქართველოს კანონებში სავარაუდოდ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებითაც.

რაც შეეხება აფხაზეთის მთავრობისადმი დამოკიდებულებას, მოკლედ მოგახსენებთ შემდეგს. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ჰყავს დეპუტატთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ 2024 წლის 18 სექტემბერს დამტკიცებული, გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებული მოტივირებული მთავრობა ბ-ნ ლევან მგალობლიშვილის

ხელმძღვანელობით. მოგეხსენებათ, უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაა. არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის მთავრობის წევრების მოსმენებს ინტერპელაციის წესით, მინისტრის საათის ფარგლებში, მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშებს. არსებობს სხვა მექანიზმებიც, მათ შორის კომიტეტების დონეზეც. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით კომიტეტებისა და სამთავრობო დაწესებულებების საკმაოდ ინტენსიურ თანამშრომლობას. საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში მინისტრის საათის ფარგლებში უმაღლესმა საბჭომ მოუსმინა ხუთივე მინისტრს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. მისასალმებელია, რომ დროის სიმცირის მიუხედავად, ახლადდანიშნული მთავრობის წევრები უკვე სრულად ფლობენ სიტუაციას, აქვთ ახლებური ხედვები და მიდგომები. მიგვაჩნია, რომ შედგა ძალიან საინტერესო და სასარგებლო მოსმენები - სასარგებლო შესაბამისი სამინისტროებისთვის, ასევე უმაღლესი საბჭოსთვის და, რაც მთავარია, იმ საქმისთვის, რომელსაც ერთობლივად ვემსახურებით. მიმდინარე სასესიო პერიოდში უმაღლეს საბჭოში კვლავ გაიმართება მთავრობის წევრების მოსმენები ამჯერად უკვე ინტერპელაციის წესით, ასევე მოვისმენთ მთავრობის თავმჯდომარის პირველ ანგარიშს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. უმაღლესი საბჭო გააგრძელებს მთავრობის მხარდაჭერას იმ ძალისხმევაში, რომელიც მიმართულია აღნიშნული პროგრამის შესრულებისკენ. მთავრობის საქმიანობაზე სხვადასხვა ფორმით კონტროლის განხორციელებაც, როგორც ამ ტრიბუნიდან ადრეც არაერთხელ გაცხადებულა, პირველ რიგში, სწორედ მთავრობასთან საქმიან თანამშრომლობას, მის მხარდაჭერას გულისხმობს, რაც ამა თუ იმ საკითხის განხილვისას არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს დისკუსიებს, რეკომენდაციებს თუ შენიშვნებს.

უმაღლესი საბჭოს მთავარი მუშა ორგანოებია კომიტეტები. საგაზაფხულო სასესიო პერიოდში უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომებზე მოისმენს ხუთივე კომიტეტის წლიურ ანგარიშს და მათ საქმიანობას მისცემს სათანადო შეფასებას. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები კომიტეტების ყოველდღიური მუშაობის შესახებ საკმაოდ შთამბეჭდავია. რეგულარულად ტარდებოდა მათი სხდომები და სხვადასხვა ღონისძიებები. ასე მაგალითად, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტს (თავმჯდომარე ბ-ნი რუდიკ ცატავა) ჩატარებული აქვს 22 სხდომა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს (თავმჯდომარე ბ-ნი თამაზ ხუბუა) - 19, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს (თავმჯდომარე ბ-ნი ვახტანგ ყოლბაია) - 16, ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტს (თავმჯდომარე ქ-ნი ადა მარშანია) - 11, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტს (თავმჯდომარე ბ-ნი ნუგზარ მგალობლიშვილი) ასევე - 11. განხილული საკითხების ნუსხა მრავალფეროვანია და ეხება ჩვენი საქმიანობის ყველა მიმართულებას. მოგეხსენებათ, უმაღლესი საბჭო პლენარული სხდომის დღის წესრიგში ვერ შეიტანს ისეთ საკითხს, რომელსაც წინასწარ არა აქვს გავლილი კომიტეტები და ფრაქციები. პლენარული სხდომების გადაწყვეტილებებიც ხომ დიდწილად იმავე კომიტეტებისა და ფრაქციების მოსაზრებებზეა დამოკიდებული. ეს ყოველივე ზრდის მათ პასუხისმგებლობას, რაც პატივცემულ კოლეგებს კარგად აქვთ გაცნობიერებული. კომიტეტებს საკმაოდ ხშირად სტუმრობენ ჩვენი დევნილი თანამოქალაქეები ან მიმართავენ წერილობით. საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში შემოსულია 453 განცხადება თუ წერილი. ყველაზე მეტი

კორესპონდენცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომიტეტში შემოვიდა - 153; შემდეგ მოდის სოციალურ - ეკონომიკურ საკითხთა, ჯანდაცვისა და დევნილთა საქმეების კომიტეტი - 111; იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი - 100 და ა. შ. ყოველ შემოსულ წერილზე, განცხადებაზე ადექვატური რეაგირება დაკავშირებულია დიდ შრომასთან და პასუხისმგებლობასთან. თავიანთ წერილებში დევნილები ითხოვენ დახმარებას, ზოგჯერ შველას. ადამიანები, რომლებსაც ძალიან უჭირთ, ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, ვის კომპეტენციაში შედის მათი პრობლემის გადაწყვეტა - აღმასრულებელი ხელისუფლების თუ საკანონმდებლოსი. სამაგიეროდ ათწლეულების განმავლობაში კარგად გაიცნეს ადა მარშანია, რუდიკ ცატავა, ვახტანგ ყოლბაია და სხვა კოლეგები. ამიტომაც მიმართავენ მათ, მიმართავენ უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებსაც. სულ ცოტა, მადლობას იმსახურებენ კომიტეტების თავმჯდომარეები, ცალკეული დეპუტატები, რომლებიც გულისხმიერებით ეკიდებიან ყოველ შემოსულ განცხადებას და, ხშირ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩართულობით, ყველაფერს აკეთებენ, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დასახმარებლად. უამრავი თხოვნა შემოდის პირადად ჩემთან ფეისბუქის მეშვეობით. თხოვნები, როგორც წესი, ეხება ჯანდაცვის, საცხოვრებელი ფართის მიღების თუ სხვა სოციალურ საკითხებს. შემოსულ თხოვნებთან დაკავშირებით, კვირის ნებისმიერ დღეს და დღე-ღამის ნებისმიერ დროს გვიხდება ბ-ნ რუდიკ ცატავას შეწუხება, ასევე ვაწუხებთ ქ-ნ ნინო ხუნჯუას. მადლობა მათ დაუზარელი შრომისთვის და დევნილი თანამემამულეების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

2021 წლიდან უმაღლეს საბჭოში ფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“, რომელზეც დევნილი მოსახლეობა 24 საათიან რეჟიმში გვიკავშირდება. 2024 წლის განმავლობაში „ცხელ ხაზზე“ 1080 შეტყობინება შემოვიდა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ტრადიციულად ეხებოდა საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღებასთან, „სოფლად სახლის“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში თანხის გამოყოფასთან, სამედიცინო მომსახურებასთან, სწავლის ქირის გადახდასთან, ფონდის „სოციალური სოლიდარობისათვის“ მეშვეობით საკვები პროდუქტების გამოყოფასთან, სასამართლოში საჩივრის შეტანასთან დაკავშირებულ და დევნილებისათვის აქტუალურ სხვა საკითხებს. შეტყობინებების ნაწილზე (მაგალითად, კონსულტაციები სამართლებრივ საკითხებზე, პროდუქტების მიწოდება და ა. შ.) რეაგირებას ახდენს უშუალოდ უმაღლესი საბჭო. წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა აფხაზეთის მთავრობის, ასევე ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ოპერატიულად რეაგირების მექანიზმიც. კერძოდ, თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ-ნ თამაზ ხუბუას ხელმძღვანელობით ყველა აღნიშნულ საკითხზე მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მუშაობის კოორდინაცია.

უმაღლესმა საბჭომ გამონახა დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის, მასთან დაახლოების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმა. ვგულისხმობთ, 2020 წლის ივნისში უმაღლესი საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის - ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ საქმიანობას. დეპუტატების დიდი უმრავლესობა და აპარატის ყველა თანამშრომელი, როგორც ცნობილია, საკუთარი ხელფასებიდან აღნიშნულ ფონდში ყოველთვიურად რიცხავს გარკვეულ თანხას. დღემდე ფონდში ჩარიცხულმა თანხამ შეადგინა 334 247 ლარი; აქედან 31 010 ლარი შემოვიდა საშემოდგომო სასესიო პერიოდში. იმავე პერიოდში 978 დევნილ ოჯახს გადავეცით პროდუქტები

თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ზესტაფონში, ხობში, წალენჯიხის რაიონის დასახლებებში - ფოცხოეწერსა და ზღვაიაში. გარდა ამისა, 73 სკოლის მოსწავლეს ბორჯომიდან (38), წეროვანის დასახლებიდან (3), ხაშურიდან (12), ზუგდიდიდან (8), ოკუპირებული აფხაზეთიდანაც კი (12) გადავეცით სასკოლო ჩანთები და მასთან ერთად სხვა სასკოლო ნივთები. უმაღლეს საბჭოში არის იმის რესურსი, რომ კიდევ უფრო მეტ თანხას მოუყაროთ თავი და, შესაბამისად, დავეხმაროთ მეტ ადამიანს. მინდა უმორჩილესად ვთხოვო პატივცემულ კოლეგებს, რომლებსაც არ შეაქვთ დაწესებული შენატანები სოციალური სოლიდარობის ფონდში, ჩაერთონ ამ უკეთილშობილეს აქციაში.

ამ ტრიბუნიდან ბევრჯერ თქმულა, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ჰუმანიტარული დახმარების თანხლებით შეხვედრები დევნილებთან ყოველთვის მიმდინარეობს უაღრესად თბილ, მეგობრულ და, რაც მთავარია, საქმიან გარემოში. აღნიშნულ შეხვედრებს, როგორც წესი, ესწრებიან აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების პირველი პირები. ეს კი იძლევა იმის საშუალებას, რომ საგნობრივად იყოს განხილული ამა თუ იმ ჩასახლებაში არსებული პრობლემები და იქვე დაისახოს მათი მოგვარების გზები. ჩვენს დევნილებს ძალიან სიამოვნებთ, როდესაც ამ შეხვედრებზე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ადამიანებს, ვეტერანებს, წარმატებულ ახალგაზრდებს აფხაზეთიდან, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენენ დევნილების მიმართ, ვაჯილდოვებთ უმაღლესი საბჭოს სხვადასხვა ხარისხის სიგელებით.

ჰუმანიტარული ტვირთის შეძენა და რეგიონებში ჩატანა მოითხოვს უზარმაზარ ძალისხმევას, მათ შორის მძიმე ფიზიკურ შრომას. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო - ამ შრომას, ეწევიან აპარატის ის თანამშრომლები, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაშიც გამორჩეულები და წარმატებულები არიან. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებ ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ ხელმძღვანელს ქ-ნ ნანა კვარაცხელიას. მას მხარში უდგანან შორენა მირცხულავა, ლალი გულორდავა, ხათუნა შულაია, ზურაბ ჯგუბურია (უმცროსი), თემურ ურიდია, ვალტერ სანაია, ნიკა ქარდავა, გელა პაპასქუა, გიორგი შელია, ხვიჩა ქარდავა, ბესიკ დანელია და სხვები. ნება მიბოძეთ, პატივცემულო კოლეგებო, თქვენი სახელით მადლობა ვუთხრათ ამ ადამიანებს უანგარო შრომისთვის ჩვენი დევნილების სასარგებლოდ. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ როცა ამა თუ იმ ჩასახლებაში ჩავდივართ და საქმე მიდგება ყუთებში ჩალაგებული რამდენიმე ტონა პროდუქტის ჩამოტვირთვაზე, იქ უკვე პირველობას არავის უთმობენ ბატონები ვახტანგ ყოლბაია და თეიმურაზ მჟავია - ეს უნდა ნახოთ, პატივცემულო კოლეგებო, როგორი მონდომებითა და სიამოვნებით ასრულებს ორივე ამ საკმაოდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოს. მართლაც დიდი სიამოვნებაა, როდესაც, არა ყალბი სიტყვებით, პირფერობით, არამედ გულწრფელად, ამ შემთხვევაში ფიზიკური შრომით ემსახურები - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ემსახურები - შენს თანამემამულეებს.

მიმდინარე წლის იანვარში საქველმოქმედო ფონდში შემოსული თანხებით დახმარება გაეწია საბერიოში დატრიალებული გაუგონარი ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახს ხუთი ათასი ლარის ოდენობით; აფხაზეთის მთავრობის მიერ შექმნილ შტაბთან კოორდინაციით, მზად ვართ საკვები პროდუქტები მივაწოდოთ თბილისში ორთაჭალის დევნილთა საცხოვრებელ კორპუსში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

უმაღლესი საბჭოს მიერ თავის დროზე მიღებული გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ გააგრძელებს ფუნქციონირებას აფხაზეთში დაბრუნებამდე. გააგრძელებს, რადგანაც ეს ძალიან სჭირდება დევნილ მოსახლეობას, ასევე არანაკლებ გვჭირდება ჩვენც, რათა კიდევ უფრო მეტად დავუახლოვდეთ ადამიანებს, რომლებსაც სამ ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოვადგენთ. მინდა დეპუტატების სახელით ვთხოვო აფხაზეთის მთავრობას განიხილოს ა(ა)იპ „სოციალური სოლიდარობისათვის“ მსგავსი ფონდის დაფუძნების მიზანშეწონილობის საკითხი. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ერთობლივად შევძლებთ დევნილი მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილში ჯერ კიდევ არსებული შიმშილობის პრობლემის საბოლოოდ აღმოფხვრას და მათთვის ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებასაც. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამით დაიწყება სრულიად ახალი ეტაპი აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ურთიერთობაში დევნილ თანამოქალაქეებთან.

უმაღლესი საბჭოს ყურადღების ცენტრში მუდმივად დგას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის გალის რაიონში არსებული პრობლემები. გალის რ-ნი იყო და რჩება გამაერთიანებელ ხიდად ქართველებსა და აფხაზებს შორის. აქედან გამომდინარე, მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. ეს გახლავთ ცალკე და უფრო მაღალ დონეზე მსჯელობის საგანი. ამჯერად თქვენს უყრადღებას გავამახვილებთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გალის რაიონში ტოტალურად ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები. ამ კუთხით იქ არსებულ მრავალ მწვავე პრობლემათაგან შევეხებით მხოლოდ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის თემას. უკვე რამდენიმე წელიწადია თავს ვიტყუებთ, რომ გალის რაიონში ვითომ ფუნქციონირებენ ქართული სკოლები. სინამდვილეში იქ არსებობენ მხოლოდ რუსული სკოლები, სადაც რუსულის არმცოდნე ან არასაკმარისად მცოდნე და ათწლეულების განმავლობაში დისკიმინაციის ქვეშ მყოფი ქართველი პედაგოგები ასწავლიან მოძველებული რუსული სახელმძღვანელოებით. მთელი ამ წლების განმავლობაში აღნიშნულ პედაგოგებს სავსებით დამსახურებულად გმირებად მოვიხსენიებდით. პირველ რიგში, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ 30 წლის განმავლობაში ყოველდღე გმირობის ჩადენა შეუძლებელია. ფრიად სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - გალის რაიონის ქართველმა პედაგოგებმა ვერ გაუძლეს უხეშ და უმკაცრეს ზეწოლას. ჩვენ ამ ფაქტს გაგებით ვეკიდებით - უნდა გავითვალისწინოთ, რომ პედაგოგები იძულებული არიან მოერგონ იქ არსებულ რეალობას. რეალობა კი ასეთია: საოკუპაციო რეჟიმი ღიად, გაცხადებულად ახორციელებს ახალი თაობის დენაციონალიზაციისა და ასიმილაციის პოლიტიკას. ამასთანავე მკვეთრად დაეცა მოსწავლეთა მოსწრების დონეც. შედეგიც შესაბამისი გვაქვს - გალის რაიონიდან ძირითადად ჩამოდიან და უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ ირიცხებიან ქართული ენის არმცოდნე და უკიდურესად სუსტად მომზადებული ახალგაზრდები. მათი დიდი უმრავლესობა ვერ ახერხებს უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელებას.

არავისთვის სიახლეს და საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ განათლების მიმართულებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე გვაქვს სრული კატასტროფა. დამატებითი ზომები თუ არ მივიღეთ, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. დამატებითი ზომების აუცილებლობა ცხადი გახდა ჯერ კიდევ 2014-2015 წლებიდან, როდესაც საოკუპაციო ხელისუფლებამ გალის რაიონის მაშინდელი ქართული სკოლები მილევად რეჟიმში გადაიყვანა. სწორედ მაშინ, 10

წლის წინ, პირველად უმაღლეს საბჭოში წარმოიშვა დისტანციური ქართულენოვანი სწავლების შემოღების იდეა. სრულიად გაუგებარი და აუხსნელი მიზეზების გამო, ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეები ამ იდეას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში გამოუჩნდნენ. ფარული წინააღმდეგობა დღემდე გრძელდება. მიუხედავად ყველაფრისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისტანციური სწავლების იდეამ თანდათანობით პოპულარობა მოიპოვა, რასაც ხელი შეუწყო უმაღლეს საბჭოში 2016 წელს ნანა კვარაცხელიას ხელმძღვანელობით შექმნილმა საპილოტე პროექტმა სახელწოდებით: „სინქრონული (ონლაინ) და ასინქრონული ქართულენოვანი დისტანციური სწავლება ოკუპირებულ აფხაზეთში“. განვლილი წლების მანძილზე პროექტში მონაწილეობა მიიღო 500 მოსწავლემ. მიმდინარე სასწავლო წელს მასში მონაწილეობს 53 მოსწავლე ჭუბურხინჯიდან, საბერიოდან, ოტობაიიდან, ოქუმიდან და ღუმურიშიდან. მათ უკვე ჩაუტარდათ 68 საგაკვეთილო საათი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ასევე ინგლისურში. უმაღლესი საბჭოს ამ პროექტის გაცნობის შემდეგ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ყოფილმა მინისტრმა ქ-ნმა ეკა ხოფერიამ გალის რაიონისთვის შექმნა კიდევ ერთი ფაქტობრივად საპილოტე პროექტი - დისტანციური საკვირაო სკოლა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ორივე პროექტმა დიდი ხანია ყველას თვალნათლივ დაანახა, ურწმუნო თომებიც კი დაარწმუნა, რომ ობიექტურად არსებული პრობლემების, თუ გნებავთ საფრთხეების მიუხედავად, სავსებით შესაძლებელია და აუცილებელიც ქართულენოვანი დისტანციური სწავლების ორგანიზება მთელი გალის რაიონის მასშტაბით. უკვე რამდენიმე წელიწადია უმაღლესი საბჭო აყენებს საკითხს, რომ სწავლების აღნიშნული ფორმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე იქცეს სახელმწიფო-საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილად. ეს კი მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც სამართლებრივად დაარეგულირებდა სახელმწიფოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისტანციური სინქრონული და ასინქრონული სწავლების ორგანიზებას. კანონის მეექვსე პრიმა მუხლით დისტანციური სწავლება საქართველოში დაშვებულია, მაგრამ მასში არ არის გათვალისწინებული ოკუპირებული ტერიტორიის სპეციფიკა. საჭიროა, რომ ხსენებულ მუხლში შევიდეს სათანადო ცვლილებები. ამ საკითხთან დაკავშირებით ვთანამშრომლობთ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტთან, მის თავმჯდომარესთან ბ-ნ გივი მიქანაძესთან. მისასალმებელია, რომ კომიტეტი, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მხარს უჭერენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულენოვანი დისტანციური სწავლების დანერგვის იდეას. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში შესაბამისი ცვლილების მომზადების მიზნით, ბ-ნ გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით კომიტეტთან შეიქმნა მუშა ჯგუფი, რომელმაც 2024 წლის ადრე გაზაფხულზე რამდენიმე სხდომაც ჩაატარა, მაგრამ შემდგომში, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, საქმე ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. საკითხის სახელმწიფო მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, უმაღლესი საბჭო თავს იკავებს აღნიშნულ საკითხზე პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენისაგან. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილების პროექტი, სასურველია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ პროფესიონალების, ასევე ჩვენზე მეტად კომპეტენტური სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართულობით მოამზადოს და საკანონმდებლო

ინიციატივაც მანვე წარადგინოს პარლამენტში. რა თქმა უნდა, უმაღლეს საბჭოსაც გააჩნია საკუთარი მოსაზრებები განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებები უკვე წარდგენილია პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტში.

უმაღლესი საბჭო, როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება, ვალდებულია მთელს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აწარმოოს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების თუ მოვლენების მონიტორინგი, გარკვეულ შემთხვევებში მათი პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლეს საბჭოში ფუნქციონირებს აფხაზეთის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და პირველადი დამუშავების ყველაზე სრულყოფილი სისტემა. ჩვენი ინტერესების სფეროს წარმოადგენს ყველაფერი - აბსოლუტურად ყველაფერი, რაც აფხაზეთში და მის ირგვლივ მსოფლიოში ხდება. ეს მუშაობა ისეთ დონეზეა დაყენებული, რომ მოპოვებული ინფორმაციით ძალიან ხშირად სარგებლობენ ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული სტრუქტურები, არც თუ ისე იშვიათად, ენგურს გაღმაც კი. აფხაზეთის შესახებ ინფორმაციას ყოველდღიურად მილიონობით დაინტერესებული პირი ეცნობა, მათ შორის ოკუპანტ სახელმწიფოშიც. მხოლოდ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული სხვადასხვა სოციალური ქსელების მეშვეობით აფხაზეთის შესახებ ინფორმაციას გაეცნო 67. 6 მილიონზე მეტი ადამიანი. გარდა ამისა, უმაღლესი საბჭოს სპიკერატი რეგულარულად ატარებს ბრიფინგებს, რომლებზეც პოლიტიკური შეფასება ეძლევა აფხაზეთში განვითარებულ ცალკეულ მოვლენებს; აღნიშნული მოვლენების შესახებ უმაღლესი საბჭოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანალიტიკისა და პროტოკოლის დეპარტამენტი 2-3 დღეში ერთხელ ამზადებს დაიჯესტებს, 2-3-ჯერ თვეში - საფუძვლიან ანალიტიკურ კვლევებს, ანგარიშებს. გათვალისწინებულია ასევე აფხაზეთში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების თაობაზე კვარტალური და წლიური ანალიტიკური ანგარიშების მომზადება. ეს ყოველივე გახლავთ უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შემადგენელი ნაწილი, რითაც ჩვენი წვლილი შეგვაქვს დეოკუპაციის, აფხაზურ საზოგადოებასთან შერიგების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის მოპოვებით, მისი დამუშავებითა და გავრცელებით. მიმდინარეობს სხვადასხვა მიმართულებით, სხვადასხვა სფეროში აფხაზეთში არსებული მდგომარეობის უფრო სიღრმისეული შესწავლა. ასე მაგალითად, გასულ სასესიო პერიოდში - 11 ოქტომბერს პლენარულ სხდომაზე მოვისმინეთ ბ-ნ თამაზ ხუბუას მოხსენება „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარების სისტემური ანალიზის შესახებ“. 23 ოქტომბერს უმაღლესი საბჭოს წინაშე წარსდგა სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი ქ-ნი მერი გაბედავა მოხსენებით: „რუსეთის მილიტარისტული პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში“. ორივე მოხსენებამ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. მოხსენებები შეიცავენ დასაბუთებულ პოლიტიკურ დასკვნებს, რომელთა გამოყენება დაგვეხმარება პოლიტიკურ- იდეოლოგიურ მუშაობაში.

დეოკუპაციის პოლიტიკის ხელშწყობისკენ და ქართულ-აფხაზურ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენისკენ არის მიმართული საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული უმაღლესი საბჭოს მთელი რიგი დადგენილებები, რომლითაც ბათილად ცხადდება როგორც

ქართული მხარისთვის, ისე აფხაზი ხალხისთვის მიუღებელი ცალკეული „შეთანხმებები“ მოსკოვსა და სოხუმს შორის. მათი ერთადერთი დანიშნულება, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსიაა. ასეთ ე. წ. შეთანხმებათა რიცხვს მიეკუთვნება რუსეთის მთავრობის მიერ სეპარატისტებისთვის თავსმოხვეული დოკუმენტი „ეკონომიკურ საკითხებზე სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ“. 2 ოქტომბრის პლენარულ სხდომაზე მიღებული დადგენილებით, ეს „შეთანხმება“ ბათილად არის გამოცხადებული. მსგავს საკითხებზე მაღალი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით მუშაობს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავმჯდომარის კაბინეტთან ერთად.

პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიზნებს ემსახურება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რომლებსაც სოხუმის უნივერსიტეტთან ან სხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ყოველწლიურად ვატარებთ. 2024 წელს რამდენიმე ასეთი კონფერენცია ჩატარდა, მათ შორის საშემოდგომო სასესიო პერიოდშიც. კერძოდ, 23 სექტემბერს ამ დარბაზში გაიმართა 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: „ანტისაბჭოთა მოძრაობა აფხაზეთში (1921-1924)“. კონფერენციის მასალები გამოცემულია. 8-9 ოქტომბერს რამდენიმე დეპუტატმა მონაწილეობა მივიღეთ საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში - „აფხაზეთი - ისტორია და თანამედროვეობა“. ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებაზე უმაღლეს საბჭოდან წარმოდგენილი იყო ერთი მოხსენება. 2 დეკემბერს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად ჩავატარეთ უდიდესი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის ყოფილი ეპისკოპოსის, ქართული ეკლესიის წმინდანის ალექსანდრე ოქროპირიძის მე-200 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. იქვე გაიმართა პრეზენტაცია უმაღლეს საბჭოში მომზადებული და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული წიგნის - „წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთში. 1851-1869“.

მიმდინარე წელს ასევე არაერთი კონფერენცია ჩატარდება. ერთ-ერთი მათ შორის მიეძღვნება ასევე გამოჩენილ სასულიერო და საზოგადო მოღვაწეს, 1869-1887 წლებში აფხაზეთის ეპარქიის მმართველს, ქართული ეკლესიის წმინდანს გაბრიელ ქიქოძეს. 2025 წლის ნოემბერში მისი ორასწლოვანი იუბილე აღინიშნება. აფხაზეთში გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობის შესახებ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აპირებს საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნის გამოცემას, რომელიც უმაღლეს საბჭოში მზადდება. გაბრიელ ქიქოძეს და ალექსანდრე ოქროპირიძეს უდიდესი დამსახურება მიუძღვით აფხაზი ხალხის წინაშე, მის ფიზიკურ გადარჩენაშიც კი. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ამ ადამიანების ღვაწლის წარმოჩენა. მათი საიუბილეო თარიღები ამ შემთხვევაში უბრალო დამთხვევაა. ხელნაწერთა ცენტრთან თანამშრომლობით, საპატრიარქოს დაგეგმილი აქვს უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე - საბჭოთა პერიოდამდე ისტორიული წყაროების დაახლოებით 5-6 ტომისაგან შემდგარი კრებულის გამოცემა აფხაზეთის შესახებ. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში გამოიცა წიგნი ალექსანდრე ოქროპირიძეზე, მიმდინარე წელს კი, როგორც მოგახსენეთ, გამოვა გაბრიელ ქიქოძეზე. მომდევნო წლებში ისევ და ისევ უმაღლესი საბჭოს კედლებში უნდა მომზადდეს გამოცემები კირიონ სამაგლიშვილზე და ამბროსი ხელაიაზე. არ წაგართმევთ დროს იმაზე საუბრით, რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ პოლიტიკისთვის, აფხაზებთან დიალოგისთვის, შერიგებისთვის.

უმაღლესი საბჭოსთვის დიდი პატივია და იმავდროულად კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა.

უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ამსახველი ერთგვარი სარკეა ჩვენი ვებგვერდი, რომელიც 2010 წლიდან ფუნქციონირებს. მთელი საშემოდგომო სასესიო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი განახლება და ე. წ. რედიზაინი. ცვლილებები შეეხო როგორც ძირითად ფუნქციონალს, ისე მართვის სისტემასა და ვიზუალურ მხარეს. ამჟამად ვებგვერდის განახლებული ვარიანტი უკვე ჩაშვებულია და მიმდინარეობს მისი გატესტვა. ვებგვერდზე თავიდანვე არსებულ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს დაემატა აფხაზური ენაც. გამარტივდა ადმინისტრაციული სისტემის, ასევე ვებგვერდის სხვადასხვა განყოფილებების ნახვა და მართვა. განახლების პროცესი, სამწუხაროდ გაჭიანურდა, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი ძალიან მალე დასრულდება და ხელს შეუწყობს როგორც საკუთრივ საიტის პოპულარიზაციას, ისე უმაღლესი საბჭოსა და მისი საქმიანობის ცნობადობის გაზრდას.

მიმართვის დასასრულს, მოკლედ შევეხებით უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაობასაც. როგორც მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობა, დიდად არის დამოკიდებული სწორედ აპარატის გამართულ მუშაობაზე. ერთი თვის წინ განხორციელდა და, ალბათ, მარტშიც განხორციელდება სათანადო ზომები, რომლებიც უკავშირდება ცვლილებებს საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“. ცვლილებებმა კანონში ხელი უნდა შეუწყონ საჯარო სამსახურში კადრების განახლებას, პროფესიონალების მოზიდვას, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას, შრომითი დისციპლინის განმტკიცებას. ჩვენს საჯარო მოხელეებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, მოეთხოვებათ კიდევ იმ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სრულად გაცნობიერება, რასაც აკისრებს მათ დევნილ სახელისუფლებო ორგანოში მუშაობა - მუშაობა იმ სახელისუფლებო ორგანოში, რომელიც წარმოადგენს უცხო ქვეყნის მიერ ოკუპირებულ, შესაბამისად, დროებით დაკარგულ ტერიტორიას და მშვიდობიანი მეთოდებით იბრძვის მისი დაბრუნებისათვის; წარმოადგენს ასეულ ათასობით დევნილსა და ლტოლვილს, რომელთა დიდი ნაწილი სიდუხჭირეში ცხოვრობს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აპარატში დასაქმებულთა ასი პროცენტი არა, მაგრამ უდიდესი უმრავლესობა ნამდვილად არის მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენი ვალია სათანადოდ დავაფასოთ ამ ადამიანების ღვაწლი ქვეყნის წინაშე. თანამშრომელთა იმ მცირე ნაწილმა კი, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის რა პასუხისმგებლობას აკისრებს მას განსაკუთრებული მისიის მქონე უმაღლეს საბჭოში მუშაობა, გათავისებული არა აქვს და დიდად არ აღელვებს ამ უნიკალური სახელისუფლებო ორგანოს წინაშე მდგარი პრობლემები თუ გამოწვევები, სპიკერატის დახმარების გარეშე თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სხვა, უფრო შესაფერის სამსახურში გადასვლის თაობაზე.

ქალბატონებო და ბატონებო! გილოცავთ 2025 წლის საგაზაფხულო სასესიო პერიოდის გახსნას. გისურვებთ წარმატებულ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

2025 წლის 4 თებერვალი.